საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/84 „ 29 " იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ყოფილი მოსამართლე მ. სტურუას მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მომართა ყოფილმა მოსამართლე მიტროფანე სტურუამ 2017 წლის 18 ოქტომბრის, 11 დეკემბრისა და 18 დეკემბრის განცხადებებით და მოითხოვა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) თანამდებობაზე აღდგენა, 2009 წლის 15 მაისის თარიღით თანამდებობიდან გათავისუფლება უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო და განაცდურის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მიტროფანე სტურუას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებებით. მითითებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 სექტემბრის №765 ბრძანებულებით აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მიტროფანე სტურუა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით მიტროფანე სტურუას მიმართ არსებულ დისციპლინურ საქმეზე დადგინდა მხოლოდ პროცედურული დარღვევა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის ის წევრები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, იმავე საქმეზე სადისციპლინო საბჭოშიც იღებდნენ მონაწილეობას. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ უმსჯელია საქმის არსებით ნაწილზე, რომლითაც მოხდა მოსამართლის ბრალეულად აღიარება და მასზე სახდელის დაკისრება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება და მოცემულ საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა

გამო განახლდა საქმის წარმოება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიტროფანე სტურუას მიმართ შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება იმ მოტივით, რომ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, კერძოდ, 2004 წლის 3 დეკემბრიდან გასული იყო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ხოლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან, კერძოდ, 2004 წლიდან კი - დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა, ასევე დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მიტროფანე სტურუას შეწყვეტილი ჰქონდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და შეწყდა აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) მიტროფანე სტურუას მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება ხანდაზმულობის გამო.

მიტროფანე სტურუა ზემოაღნიშნულ განცხადებებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების საფუძვლად უთითებს შემდეგ სამართლებრივ არგუმენტაციას:

განმცხადებელი მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილობას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს და აღნიშნულის დასადასტურებლად მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებას, რომლითაც გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება მიტროფანე სტურუას მიმართ დისციპლინური სახდელის სახით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლდა საქმის წარმოება. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. კერძოდ, იგი მიუთითებს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი ან გადაუხადოს მას კომპენსაცია, ასევე განმარტავს, რომ აღნიშნული კოდექის 32-ე მუხლის მიხედვით წარმოეშვა იძულებითი განაცდურის ანაზაღაურების მოთხოვნის უფლება. განმცხადებელი მიუთითებს, რომ შრომითი ურთიერთობის მოშლის ნამდვილობისთვის აუცილებელია კანონით დადგენილი წინაპირობების, მათ შორის, პროცედურული წინაპირობების დაცვა. როგორც განცხადებებში აღნიშნულია, მიღებული გადაწყვეტილება - შრომითი ხელშეკრულების მოშლა - ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წინაპირობებს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით ბათილია, ხოლო ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით ბათილი გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან და იგი ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. ამ ყოველივეს კი განმცხადებელი უკავშირებს შრომითი ხელშეკრულების ნამდვილობას, ამასთან, სადისციპლინო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, მიიჩნევს არარა ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად. განმცხადებელი გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლად ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებას.

მიტროფანე სტურუას მოთხოვნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არსებულ სამართლებრივ რეგულაციებზე. აღსანიშნავია, რომ მითითებულ საკითხებს არ აწესრიგებს ისეთი სპეციალური საკანონმდებლო აქტები, როგორიცაა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსამართლეზე, გარდა რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევისა, არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. რაც შეეხება საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსი“, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, შრომის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ხოლო შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს შრომის კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს განმცხადებლის მიერ მითითებულ საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომლის თანახმად, „სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. აღნიშნული ნორმა ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე. კერძოდ, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის, ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის ან კომპენსაციის გადახდის საკითხის გადაწყვეტას მიაკუთვნებს სასამართლოს კომპეტენციას. ასევე, აღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტის წინაპირობად განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რაც ასევე სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხს ანალოგიურად აწესრიგებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის იმავე ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდური თანამდებობრივი სარგოს გაცემას სასამართლოს მიერ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირებს. აღნიშნული ნორმები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, რომლის შესაბამისად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება. ამასთან, მნიშვნელოვანია მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრის საკითხი, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე და სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი შესაძლებელია განსხვავებული იყოს პირის ფუნქციური დატვირთვიდან, კვალიფიკაციიდან, საქმიანობის სფეროდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. შესაბამისად, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს მიერ კონკრეტული მტკიცებულებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს უკანონოდ განთავისუფლებით პირისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ განცხადებელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან ერთად, მოთხოვნილი ჰქონდა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და 4 წლის განაცდურის ანაზღაურება. თუმცა, მიუხედავად მითითებული მოთხოვნებისა, არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას და არც საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას ყურადღება არ გაუმახვილებია მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების საკითხებზე. შესაბამისად, შეფასება არ მისცემია

მიტროფანე სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხს. გასათვალისწინებელია, რომ მიტროფანე სტურუა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 სექტემბრის №765 ბრძანებულებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება ავტომატურად არ იწვევს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმებას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, როდესაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არსებული განმარტებით, „...ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმის არსებით ნაწილში დარღვევა არ დაფიქსირებულა, რაც იმას გულისხმობს, რომ ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების დასკვნები სწორია". სადისციპლინო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს დისციპლინური კუთხით მხოლოდ პროცედურულ ნაწილს უკავშირებს და ხაზგასმით აღნიშნავს მიტროფანე სტურუას მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის მართებულობას ხანდაზმულობის და არა ბრალეული ქმედების არარსებობის გამო. როგორც უკვე აღინიშნა, მიტროფანე სტურუას მოთხოვნებთან მიმართებით აუცილებელია შემოწმდეს მისი აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხი, რადგან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაში თანამდებობაზე აღდგენისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად:

1. არ დაკმაყოფილდეს ყოფილი მოსამართლე მიტროფანე სტურუას მოთხოვნა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) თანამდებობაზე აღდგენის, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო 2009 წლის 15 მაისიდან თანამდებობიდან გათავისუფლებისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მიტროფანე სტურუას.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი